ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

# დადგენილება N2

9 იანვარი 2023 წელი

---

**დ.ხარაგაული 56-00**

**9 აპრილის ქუჩა #15**

**„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1.** „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკომომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 15 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი 17/07/2014 სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.128.016160). შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1.დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ,დ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„3. კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა და გადარჩევა ხდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტისა და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 26-ე, 102-ე და 103-ე მუხლებით დადგენილი წესით.“

**მუხლი 2.** დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე

**საკრებულოს თავმჯდომარის**
**მოვალეობის შემსრულებელი** **დავით კიკნაძე**